ხშირად დასმული კითხვები განათლებასთან დაკავშირებით

უკრაინული სექტორის მოსწავლეებისა და მათი მშობლების მიერ წამოჭრილი საკითხები:

1. **მართალია თუ არა, რომ უკრაინული სკოლების უმეტესობა არ აღიარებს საქართველოში მიღებული განათლების წლებს?**

საქართველოში მოქმედებს უკრაინულენოვანი სექტორი ოთხი სკოლის ბაზაზე - ორი თბილისში (საჯარო სკოლა N41, N220) და ორი ბათუმში (N20, N13). აღნიშნულ სკოლებში უზრუნველყოფილია, რომ უკრაინელმა მოსწავლეებმა მათ მშობლიურ ენაზე სათანადო ხარისხით მიიღონ სრული ზოგადი განათლება, რაც მნიშვნელოვანია მათი პიროვნული და აკადემიური განვითარებისათვის. საქართველოში მათთვის შეთავაზებული სასკოლო პროგრამა შეესაბამება საქართველოსა და უკრაინის საგანმანათლებლო სისტემებს, რათა უკრაინაში დაბრუნების შემდეგ, თითოეულმა მოსწავლემ შეუფერხებლად შეძლოს განათლების მიღება და გაგრძელება ნებისმიერ საფეხურზე.

უკრაინაში საქართველოში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების დეტალების დასაზუსტებლად, მიზანშეწონილია დაინტერესებულმა პირმა მიმართოს უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (ოფიციალური ვებგვერდი - https://mon.gov.ua/eng)

2. როგორ ხდება უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება საქართველოში.

უცხოეთში მიღებული განათლების საქართველოში აღიარების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (ოფიციალური ვებგვერდი და საკონტაქტო ინფორმაცია: www.eqe.ge; ტელეფონი: 2 200 220 (*3599); ელ-ფოსტა: info@eqe.ge) ამოწმებს:

- გაცემულია თუ არა საგანმანათლებლო დოკუმენტი იმ პირის სახელზე, რომელიც მითითებულია ამ დოკუმენტში;
- არის თუ არა დოკუმენტის გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულება აღიარებული იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ეს დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას;
- არის თუ არა საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახული კვალიფიკაცია ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგები საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობაში.

უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მსურველმა პირმა განცხადება თანდართული დოკუმენტებით უნდა წარადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. განცხადებას თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადების ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომის ცენტრის ვებგვერდზე: https://eqe.ge/ka/page/static/213/utskhoetshi-mighebuli-ganatlebis-aghiareba
2. მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
3. უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
4. პირის მიერ არჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით).
5. სხვა პირის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა);
6. მშობლის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, არასრულწლოვანი შვილის დაბადების მოწმობის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.

3. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი მიიღებს საქართველოს საჯარო სკოლის ატესტატს, აღიარებს თუ არა მას უკრაინის განათლების სისტემა?

საქართველოში მოქმედი საჯარო სკოლის მიერ გაცემულ ატესტატი აღიარებულია, როგორც უკრაინაში, ასევე სხვა სახელმწიფოებში. ატესტატის აღიარების წესი და პირობები დგინდება თითოეული სახელმწიფოს მიერ ინდივიდუალურად. საქართველოში მოქმედი საჯარო სკოლის მიერ გაცემული ატესტატის უკრაინაში აღიარების საკითხის დასაზუსტებლად, მიზანშეწონილია დაინტერესებულმა პირმა მიმართოს უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (ოფიციალური ვებგვერდი - https://mon.gov.ua/eng)

4. მართალია თუ არა, რომ ზოგიერთი უკრაინული სკოლა მათთან სწავლის გაგრძელების მიზნით, საქართველოდან დაბრუნებულ ბავშვებს გამოცდების ჩაბარებას სთხოვს ?

უკრაინაში სწავლის გაგრძელების დამატებითი ინფორმაცია უნდა გადამოწმდეს უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (ოფიციალური ვებგვერდი - https://mon.gov.ua/eng) ან უკრაინაში მოქმედ კონკრეტულ სკოლასთან.

5. მართალია თუ არა, რომ უკრაინული სკოლის ატესტატს აიღებენ მხოლოდ ის ბავშვები, რომლებიც დარეგისტრირებულები არიან უკრაინულ სკოლაში და განაგრძობენ სწავლას დისტანციურად?

უკრაინულენოვანი სექტორისთვის 1-11 კლასებზე გაწერილი სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქტიური თანამშრომლობისა და კოორდინაციის შედეგად. აღნიშნული სასკოლო სასწავლო გეგმა მთლიანად იქნა გადმოტანილ უკრაინის ეროვნული სასწავლო გეგმიდან და მას დაემატა მხოლოდ ორი საგანი - ქართული ენა და საქართველოს ისტორია.

2022-2023 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უკრაინის საელჩოსთან თანამშრომლობით უზრუნველყო მე-11 კლასელი უკრაინელი მოსწავლეებისთვის გამოსაშვები გამოცდების საქართველოში ჩატარება. შესაბამისად, მოსწავლეებმა, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდები, მიიღეს უკრაინული სკოლის სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი.
ამასთან, უკრაინელი მოსწავლეები, რომლებიც დაასრულებენ მე-12 კლასს, ასევე მიიღებენ საქართველოს სკოლის სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - ატესტატს.

6. მართალია თუ არა, რომ მოსწავლეები, რომლებიც საქართველოში მეთერთმეტე კლასში სწავლობენ (დამამთავრებელი კლასი უკრაინაში), ვერ მიიღებენ უკრაინული სკოლის ატესტატს. ხოლო ქართული სკოლის ატესტატს მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გააგრძელებენ სწავლას მე-12 კლასში. თუმცა, გაურკვეველია, თუ როგორ იქნება გაწერილი მე-12 კლასის პროგრამა.

საქართველოში სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი გაიცემა 12 კლასის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, ვინაიდან, მიმდინარე სასწავლო წლიდან საქართველოში მოქმედ უკრაინული სექტორის მქონე საჯარო სკოლებს უკვე ჰყავთ XII კლასელი უკრაინელი მოსწავლეები, 2023-2024 სასწავლო წლისთვის საქართველოსა და უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად, უკრაინულენოვანმა საჯარო სკოლებმა შეიმუშავეს მე-12 კლასის სასწავლო გეგმა. აღნიშნულ პროცესში განხილული და გაზიარებული იყო უკრაინელი მოსწავლეების საჭიროებები, ამავდროულად გათვალისწინებულ იქნა საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები. შესაბამისად, უკრაინელი მოსწავლეები, რომლებიც დაასრულებენ მე-12 კლასს, ასევე მიიღებენ საქართველოს სკოლის სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - ატესტატს.

6. არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უკრაინელი მოსწავლეების იდენტიფიცირების მექანიზმი? არის თუ არა სკოლაში მათთვის ხელმისაწვდომი სპეციალური განათლების სერვისები (სპეციალური მასწავლებელი, ინდ. სასწავლო გეგმა, რესურს ოთახი და სხვ.) ?

უკრაინელი მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით შეფასება. შეფასების პროცედურა ხორციელდება შესაბამისი მომართვის საფუძველზე, რის შემდეგაც იწერება შეფასების დასკვნა სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით შესაბამისი რეკომენდაციებით. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით და საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგის და სხვა დამატებითი სპეციალისტის მომსახურებით, მათთვის დგება ინდივიდუალური

სასწავლო გეგმა და ხელმისაწვდომია ინკლუზიური განათლების მიმართულებით სკოლაში არსებული ყველა რესურსი.

7. მოუწევთ თუ არა უკრაინელ მოსწავლეებს ქართული ენის გამოცდის ჩაბარება იმისათვის, რომ აიღონ ატესტატი?

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, აფხაზეთის ტერიტორიაზე ასევე აფხაზური. შესაბამისად, საქართველოს ყველა სკოლაში, განურჩევლად სექტორისა, სავალდებულოდ ისწავლება ქართული ენა. უკრაინული სექტორის საჯარო სკოლაში სწავლების ენა უკრაინულია, საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართული ენის სწავლება ყველგან სავალდებულოა კვირაში 5 საათის დატვირთვით. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი, რის საფუძველზეც გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი.

ატესტატის გაცემა გამოცდების საფუძველზე არ ხდება, თუმცა სკოლა უფლებამოსილია დააწესოს წლიური გამოცდა/გამოცდები ნებისმიერ საგანში/საგნებში (აღნიშნული გაწერილია სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში) და თავად განსაზღვროს გამოცდაზე მიღებულ ქულას ექნება თუ არა გავლენა საგნის წლიურ ქულაზე. აღნიშნულ საკითხზე დამატებითი ინფორმაცია უნდა გადამოწმდეს უშუალოდ სკოლის ადმინისტრაციასთან ან მასწავლებელთან.

8. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ჩაირიცხა ქართულენოვან სექტორზე, როგორ მოხდება სკოლაში სასწავლო პროცესში მისი ჩართვა? რა დახმარებას გაუწევს სკოლა?

მოსწავლის ქართულენოვან სკოლაში ჩარიცხვის ან მობილობის შემთხვევაში, მიმღები სკოლა ენობრივი ბარიერის დასაძლევად მოსწავლისთვის მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავებს მოდიფიცირებულ სასკოლო სასწავლო გეგმას.

საქართველოში უკრაინულენოვანი სექტორი ფუნქციონირებს 4 სკოლის ბაზაზე. შესაბამისად, სრულად არის უზრუნველყოფილი, რომ ნებისმიერი მოსწავლე, რომელიც მოინდომებს ზოგადი განათლების მიღებას მის მშობლიურ-უკრაინულ ენაზე, თავისუფლად ჩაირიცხოს ზემოაღნიშნული ოთხი სკოლიდან რომელიმეში ისწავლოს უკრაინულ ენაზე.

9. შესაძლებელია თუ არა, რომ სკოლაში არსებობდეს სხვადასხვა სახის წრეები მოსწავლეების ინტერესის გათვალისწინებით?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკრაინულენოვანი სექტორის მქონე საჯარო სკოლებში აფინანსებს არაფორმალური განათლების წრეებს ხელოვნების, სპორტის, საგანმანათლებლო-შემეცნებითი მიმართულებებით.

გარდა ამისა, ყველა საჯარო სკოლა თავისი ფინანსური და ადმინისტრაციული ავტონომიის ფარგლებში უფლებამოსილია, მოსწავლეები ჩართოს არაფორმალურ განათლებაში მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით აქტიურად უწყობს ხელს უკრაინიდან დევნილი მოსწავლეებისთვის არაფორმალური განათლების ღონისძიებების განხორციელებას .

მოსწავლეთა სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით, სკოლებში არსებობს სხვადასხვა სახის წრეები. აღსანიშნავია, რომ უკრაინელ მოსწავლეთა ინტერესებისდასადგენად, სსიპ - მანდატურის სამსახურმა ჩაატარა საჭიროებების შეფასება ყველა უკრაინულსექტორიან სკოლაში და აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, უკრაინულენოვან სკოლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაიგეგმა და ხორციელდება შემდეგი სახის არაფორმალური განათლების წრეები და ღონისძიებები:

- ✓ უკონტაქტო კარატეს წრე;
- ✓ ხელოვნების წრის სამუსიკო გუნდი.
- ✓ ჩერლიდინგის წრე.
- ✓ ხელბურთის წრე;
- ✓ ფეხბურთის წრე;
- ✓ სათავგადასავლო-შემეცნებითი, კულტურული და საგანმანათლებლო ხასიათის ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;
- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბი „ჩხირკედელა".

10. არის თუ არა ფსიქოლოგის დახმარება სკოლებში?

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგების მომსახურება ყველა სკოლის მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია.
ოთხივე სკოლაში, სადაც უკრაინული სექტორი ფუნქციონირებს, განათლების სამინისტრო (UNICEF-ის დაფინანსებით) უზრუნველყოფს უკრაინულენოვანი ფსიქოლოგის ან/და განათლების სოციალური მუშაკის მომსახურებას.

11. უკრაინული სექტორის ატესტატის მიღების შემდეგ, შეძლებენ თუ არა მოსწავლეები ჩაბარებას უმაღლეს სასწავლებლებში? რა პროცედურაა ამისთვის და დეტალური კონსულტაციისთვის ვის შეუძლია მიმართოს მშობელმა?

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირი, რომელიც ფლობს ქართული სკოლის მიერ გაცემულ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - ატესტატს,

უფლებამოსილია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა გააგრძელოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებით.

ამასთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების მსურველმა განცხადება თანდართული დოკუმენტებით უნდა წარადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ცენტრში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

ინფორმაცია საქართველოში მოქმედი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით განთავსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე - http://mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo

შესაბამისად, თუ პირი ფლობს უცხო ქვეყნის (მაგალითად: უკრაინის) მიერ გაცემულ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - ატესტატს, უფლებამოსილია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე გააგრძელოს სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

12. რა ენაზე მოუწევთ უმაღლესი განათლების სასწავლებლებში ჩასარიცხი გამოცდების ჩაბარება? ექნებათ თუ არა რაიმე შეღავათები?

თუ პირი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ერთიანი ეროვნული გამოცდებით, გამოცდები ბარდება ქართულ ენაზე.

იმ შემთხვევაში, თუკი, პირი ფლობს უცხო ქვეყნის (მაგალითად: უკრაინის) მიერ გაცემულ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს - ატესტატს, პირი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული მისაღები გამოცდის საფუძველზე, რომელიც ტარდება იმ ენაზე, რომელზეც ხორციელდება პირის მიერ შერჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

13. არის თუ არა შესაძლებელი უკრაინულ ენაზე სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში?

საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლება უკრაინულ ენაზე არ მიმდინარეობს. საქართველოში მოქმედი უცხოენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე: https://eqe.ge/en/page/static/265/utskhoenovani-saganmanatleblo-programebi-usd-ebshi

14. კითხვების შემთხვევაში რაც განათლების საკითხებს ეხება, ვის უნდა მიმართონ?

კითხვების შემთხვევაში დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ცხელ ხაზს: 2 200 220, ან მოიწეროს სამინისტროს ელექტრონულ ფოსტაზე - pr@mes.gov.ge ან სოციალური მედიის გვერდზე - Facebook.com/MESGeorgia

დამატებითი ინფორმაცია

2022 წლის მაისიდან, ორგანიზაცია „Save the Children", განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, უკრაინიდან ლტოლვილი სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის ახორციელებს შემდეგ პროგრამებსა და აქტივობებს:

- თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში გაიხსნა „ბავშვთა და მოზარდთა სივრცე" (Child Friendly Space), სადაც 12-18 წლის ბავშვები და მათი მშობლები შემდეგი სახის მომსახურებას იღებდნენ: ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, არაფორმალური განათლება, შემეცნებითი გასვლითი აქტივობები მუზეუმებსა და ექსკურსიები თბილისსა და მცხეთაში (06/2022-09/2022);
- N220 საჯარო სკოლაში, დაწყებითი განათლების საფეხურზე ჩარიცხული ბავშვების მქონე ოჯახების ეკონომიკური მდგრადობის გასაუმჯობესებლად და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად გაიხსნა „ბავშვთა სივრცე" (Child Friendly Space), რომელიც მოსწავლეებს და მშობლებს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ სთავაზობდა ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას, მეცადინეობას და გასართობ აქტივობებს (10/2022- 05/2023);
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის „ბავშვთა სივრცეების" ფარგლებში ამოქმედდა იდენტიფიკაცია და სპეციალიზებული მხარდაჭერის პროგრამები;
- 2022 სასწავლო წლის დასაწყისში, N220 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეებს დაურიგდათ - „სასკოლო ჩანთები" სწავლის დაწყებისთვის ყველა აუცილებელი ნივთით (რვეულები, საწერ კალმები, პენალი, ფანქრები, ფლომასტარები, საშლელები და ა.შ). „სასკოლო ჩანთების" დარიგება დაგეგმილია 2023 წლის სასწავლო წლის დაწყებისთვისაც.
- 2022 წლის მაისიდან დღემდე, „გადავარჩინოთ ბავშვების" მომსახურებით 1500 ბავშვმა და 800 მშობელმა ისარგებლა.